საქართველო 2018

ბავშვობის ასაკში ქორწინება

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა

ბავშვობის ასაკში ქორწინება: დონეები და ძირითადი მაჩვენებლები

ქორწინება 15 წლის და 18 წლის ასაკამდე (20-24 წლის ასაკის ქალებისათვის): SDG 5.3.1



20-24 წლის ასაკის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ ან დაიწყეს ცხოვრება პარტნიორთან 15 და 18 წლის ასაკამდე, დასახლების ტიპის, კეთილდღეობის ინდექსის კვინტილის და განათლების დონის მიხედვით

საკვანძო გზავნილები

- ბავშვობის ასაკში ქორწინება კვლავ ძირითად საფრთხედ რჩება და მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება მის აღმოსაფხვრელად. 20-24 წლის ასაკის ქალების 14% 18 წლამდე იყვნენ დაქორწინებული.
- ბავშვობის ასაკში ქორწინება პრობლემაა მთელს ქვეყანაში; თუმცა, მისი გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებს შორის. 20-24 წლის ასაკის ქალების 8%, რომლებიც ქალაქის ტიპის დასახლებებში ცხოვრობენ, დაქორწინებული იყვნენ 18 წლის ასაკამდე, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები (20-24 წლის ასაკის) ქალების 25% იყო დაქორწინებული ან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში სრულწლოვანი ასაკის მიღწევამდე.
- არსებობს კავშირი ბავშვობის ასაკში ქორწინებასა და განათლებას შორის. 20-24 წლის ასაკის ქალთა 47%-ს, რომლებიც იყვნენ დაქორწინებული ან იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში 18 წლის ასაკამდე, მიღებული აქვთ დაწყებითი ან არასრული საშუალო განათლება, 25%-ს - სრული საშუალო განათლება, 11%-ს - პროფესიული განათლება, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე 20-24 ასაკის ქალების მხოლოდ 3% პროცენტი იყო დაქორწინებული ან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში 18 წლის ასაკამდე.
- 20-24 წლის ასაკის ქალების 33%, რომელმაც განაცხადა, რომ იყვნენ დაქორწინებული ან იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ კავშირში 18 წლის ასაკამდე, მიეკუთვნებიან კეთილდღეობის ინდექსის უღარიბეს კვინტილს, ხოლო უმდიდრეს კვინტილურ ჯგუფში ანალოგიური მაჩვენებელი 4% -ს შეადგენს.
- 20-49 წლის ასაკის ქალების წილი, რომლებიც იყვნენ დაქორწინებული ან 18 წლის ასაკამდე, ყველაზე მაღალია ქვემო ქართლში (25%), ხოლო ყველაზე დაბალი თბილისში (12%).
- მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს ასაკობრივ ჯგუფებს შორის ადრეული ქორწინების თვალსაზრისით. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი როგორც 15 წლამდე ქორწინების, ასევე 18 წლამდე ქორწინების შემთხვევაში, 40-44 წლის ასაკის ქალებში დაფიქსირდა და შესაბამისად, 3 და 27 პროცენტს შეადგენს.

რეგიონული მონაცემები ადრეული ქორწინების შესახებ

რეგიონი	18 წლის ასაკამდე დაქორწინებული
საქართველო	**17**
თბილისი	**12**
აჭარის ა.რ.	**20**
გურია	**22**
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	**17**
კახეთი	**24**
მცხეთა-მთიანეთი	**16**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**16**
სამცხე-ჯავახეთი	**22**
ქვემო ქართლი	**25**
შიდა ქართლი	**24**

20-49 წლის ასაკის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ ან დაიწყეს ცხოვრება პარტნიორთან 15 და 18 წლის ასაკამდე, რეგიონის მიხედვით

18 წლის ასაკამდე ქორწინება მრავალი ახალგაზრდა გოგონასათვის რეალობას წარმოადგენს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მშობლები თავიანთ ქალიშვილებს დაქორწინებისკენ მოუწოდებენ მაშინ, როდესაც ისინი ჯერ კიდევ მოზარდები არიან, იმ იმედით, რომ მათი ქორწინება სარგებელს მოუტანს მას და მშობლებსაც როგორც ფინანსურად, ასევე სოციალურად და ამასთან, მათ ოჯახს ფინანსური წნეხისაგან გაათავისუფლებს. ფაქტობრივად, ბავშვობის ასაკში ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევას წარმოადგენს, რაც ხელს უშლის გოგონების განვითარებას და ხშირად განაპირობებს ადრეულ ასაკში ორსულობას და სოციალურ იზოლირებას, ხოლო განათლების დაბალი დონე და არადამაკმაყოფილებელი პროფესიული განათლება სიღარიბის გენდერულ ასპექტს განამტკიცებს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებულია „თავისუფალი და სრული“ თანხმობის განცხადების უფლება ქორწინებაზე იმის გათვალისწინებით, რომ თანხმობა ვერ იქნება „თავისუფალი და სრული“, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ არის საკმარისად მოწიფული იმისათვის, რომ ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოს ცხოვრების პარტნიორის ასარჩევად.

ადრეული ქორწინების ტენდენციები



20-49 წლის ასაკის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ ან დაიწყეს ცხოვრება პარტნიორთან 15 და 18 წლის ასაკამდე, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, მიქსი საქართველო 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გლობალური მიქსის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და UNICEF-ის, NCDC-ის, USAID-ის, WB-ის, UNFPA-ს, SIDA-ს, AFD-ის, SCD-ის, ISS-ის, UNDP-ისა და WHO-ს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე მოკლე აღწერილობის ამოცანაა მიქსი საქართველოს 2018 წლის კვლევით დადგენილი ცალკეული ფაქტების გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია ადრეულ ქორწინებასთან. ამ მოკლე აღწერილობის დეტალური მონაცემები წარმოდგენილია PR4.1W ცხრილში.

დამატებითი სტატისტიკური მოკლე აღწერილობები და „კვლევის შედეგების ანგარიში“ ამ და სხვა კვლევებისათვის განთავსებულია შემდეგ ვებგვერდზე: mics.unicef.org/surveys.